პატივცემულო კოლეგებო!

ქალბატონებო და ბატონებო!

საშემოდგომო სასესიო პერიოდის გახსნა კვლავაც საგანგებო ვითარებაში გვიხდება. 2021 წლის 2 თებერვალს, როდესაც საგაზაფხულო სასესიო პერიოდი გაიხსნა, ჩვენ ვსაუბრობდით საქართველოში არსებული უკიდურესად რთული, მანამდე არნახული პანდემიური მდგომარეობის შესახებ და ამ დროს ვერ წარმოვიდგენდით, თუ რა მძიმე განსაცდელი ელოდა წინ ქვეყანას პანდემიის ე. წ. მეოთხე ტალღის სახით, რა გამოცდა და აუნაზღაურებელი დანაკლისი გველოდა ჩვენ - უმაღლეს საბჭოს. სამწუხაროდ, განვლილი შვიდი თვის განმავლობაში ინფიცირებულთა საერთო რაოდენობა ორჯერ და უფრო მეტადაა გაზრდილი, და 6 სექტემბრისთვის შეადგინა 566 ათასამდე ადამიანი. ყველაზე საგანგაშო გახლავთ ლეტალური შემთხვევების თითქმის ორნახევარჯერ ანუ 7 867-მდე გაზრდა. საქართველოს მთავრობის ძალისხმევითა და საერთაშორისო პარტნიორების თანადგომით ქვეყანამ განსაცდელს გაუძლო. საბედნიეროდ, დადებითობის მაჩვენებელი თანდათან კლებულობს, გამოჯანმრთელებულთა რიცხვი მკვეთრად აჭარბებს დაინფიცირებულთა რაოდენობას. პანდემიის მართვის პროცესში დაგროვილი პოზიტიური გამოცდილება, წარმატებით მიმდინარე ვაქცინაციის პროცესი, სხვა ფაქტორებთან ერთად არის გარანტია იმისა, რომ კორონავირუსული პანდემია დაძლეული იქნება და საზოგადოებრივი ცხოვრება ნორმალურ ჩარჩოში ჩადგება.

არსებული რეგულაციების მკაცრად დაცვის მიუხედავად, უმაღლესი საბჭოს წევრებმა და აპარატის თანამშრომლებმა თავიდან ვერ ავიცილეთ დაინფიცირების საკმაოდ ხშირი და ზოგჯერ მწვავე შემთხვევებიც. თქვენი სახელით, მინდა სწრაფი გამოჯანმრთელება ვუსურვო ჩვენს კოლეგებს და თანამშრომლებს, რომლებიც ამ წუთებშიც კორონავირუსს ებრძვიან. სამწუხაროდ, მან უკვე იმსხვერპლა ერთ-ერთი ჩვენი გამორჩეული კოლეგა და მეგობარი - აკაკი გასვიანი. მსგავსი ტრაგიკული ფაქტების თავიდან აცილების მიზნით, უმაღლესი საბჭოს სპიკერატი და აპარატის ხელმძღვანელობა ვალდებული არიან კიდევ უფრო გაამკაცრონ არსებული შიდა რეგულაციები, რაც მთავარია, უზრუნველყონ დეპუტატებისა და თანამშრომლების მაქსიმალურად აცრა. ეს პროცესი, როგორც მოგეხსენებათ, ნებაყოფლობითია, მაგრამ როდესაც აუცრელი ადამიანი საფრთხეს უქმნის არა მარტო საკუთარ თავს, არამედ სხვის სიცოცხლესაც, ყველა უფლება გვაქვს მოვითხოვოთ კოლეგებისა და თანამშრომლების მასობრივი ჩართულობა ვაქცინაციის პროცესში. ვაქცინირებულთა წილი უმაღლეს საბჭოში საკმაოდ მაღალია, თუმცა არასაკმარისი იმისათვის, რომ მშვიდად ვიგრძნოთ თავი. აპარატის ხელმძღვანელობას ევალება ყოველი სამშაბათისთვის მოამზადოს და

სპიკერატს მიაწოდოს ინფორმაცია უმაღლეს საბჭოში ვაქცინაციის პროცესის მიმდინარეობის შესახებ. ვთხოვ ბ-ნ თამაზ ხუბუას, რომელმაც ამ დღეებში კორონავირუსი წარმატებით დაძლია, პირად კონტროლზე აიყვანოს ეს საკითხი.

იმ პირობებში, როდესაც ყოველდღიურად ქვეყანაში 70-80-ზე მეტი სხვადასხვა ასაკის ადამიანი, მათ შორის ბავშვები გვეღუპება, იმედი მაქვს, არავინ აჰყვება ბრიყვულ, ამასთანავე ძალიან სახიფათო კამპანიას, შეთქმულების თეორიების უპასუხისმგებლო გამავრცელებლებს და ვაქცინაციის პროცესი წარმატებით ჩაივლის. ცნობისთვის მოგახსენებთ სახალხო დამცველის აპარატში ამა წლის 26 აგვისტოს ბრძანებით დაწესებული რეგულაციების თაობაზე. ბრძანების თანახმად, თანამშრომლები ვალდებული არიან წარმოადგინონ დოკუმენტი სრულად ვაქცინირების შესახებ ან საკუთარი ხარჯებით ყოველკვირეულად ჩატარებული PCR - ტესტის უარყოფითი პასუხი. ამ ვალდებულებებისაგან ადამიანები თავისუფლდებიან მხოლოდ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, რაც დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობით. აღნიშნული რეგულაციების დამრღვევები, როგორც სხვა თანამშრომლებისთვის საფრთხის მატარებელნი, სახალხო დამცველის იმავე ბრძანების მიხედვით, სამსახურებრივ მოვალეობას ვერ შეასრულებენ, რისთვისაც უკვე პასუხს აგებენ კანონის შესაბამისად. მდგომარეობა ქვეყანაში თუ არ გამოსწორდა, გარკვეული შიდაკონსულტაციების შემდეგ, გამორიცხული არ არის მსგავსი რეგულაციები უმაღლეს საბჭოშიც დაწესდეს.

როცა ქვეყანაში ეპიდემიოლოგიური ვითარება ასეთი მძიმეა, როცა დევნილ მოსახლეობას ეკონომიკურად ძალიან უჭირს, ჩვენი ელემენტარული ვალია, შესაძლებლობის ფარგლებში, მხარში ამოუდგეთ დევნილთა ყველაზე მოწყვლად ჯგუფებს. თქვენთვის კარგად არის ცნობილი, რომ უმაღლესი საბჭო 2020 წლის გაზაფხულიდან დღემდე აგრძელებს კოვიდსაწინააღმდეგო ღონისძიებებში საკმაოდ აქტიურ მონაწილეობას. დეპუტატებისა და აპარატის თანამშრომლთა ხელფასებიდან ყოველთვიურად ფონდში ა(ა)იპ „სოციალური სოლიდარობისათვის“ აკუმულირებული თანხებით ქვეყნის მასშტაბით რეგულარულად ხორციელდება ჰუმანიტარული აქციები სხვადასხვა კატეგორიის ადამიანებისთვის, რომლებსაც ვაწვდით საკვებ პროდუქტებს. განვლილი სასესიო პერიოდის განმავლობაში ასეთი აქციები ჩატარდა რუსთავში, აჭარაში, ფოთში, სენაკში, თბილისში და სხვა ქალაქებში. პროდუქტები მიეწოდა 656 დევნილ ოჯახს ანუ 2600-მდე ადამიანს. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში მყოფ რამდენიმე ოჯახს პროდუქტები ყოველთვიურად მიეწოდება. მთლიანობაში კი 2020 წლის გაზაფხულიდან დღემდე უკვე დავეხმარეთ 1830-ზე მეტ ოჯახს, ანუ 11500-ზე მეტ ადამიანს. საშემოდგომო სასესიო პერიოდში ჰუმანიტარული აქციები მუნიციპალური არჩევნების დასრულების შემდეგ განახლდება.

ჩვენ არაერთხელ აღგვინიშნავს და დღესაც მინდა მოგახსენოთ, რომ უმაღლესი საბჭოს უაღრესად კეთილშობილური ჰუმანიტარული აქციების ორგანიზებაში დიდი წვლილი მიუძღვით ფონდის ხელმძღვანელს ქ-ნ ნანა კვარაცხელიას, ასევე ნათია დარსანიას, გიორგი შელიას და აპარატის სხვა ახალგაზრდა თანამშრომლებს. მადლობა მათ ათასობით ჩვენი დევნილი თანამოქალაქის სახელით. ამასთანავე კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ ყველა სახელმწიფო სტრუქტურას, პირველ რიგში, აფხაზეთის მთავრობას, ჩაერთონ სოციალური სოლიდარობის აქციებში.

აქვე მოკლედ შევეხებით კორონავირუსული პანდემიის თვალსაზრისით აფხაზეთში არსებულ მდგომარეობას. გუშინ, 6 სექტემბერს, გამოქვეყნებული მონაცემებით, დაინფიცირებულთა საერთო რაოდენობამ 25622 ადამიანი შეადგინა, გარდაცვლილია 387. სამწუხაროდ, დადებითობის მაჩვენებელი 2-3-ჯერ მეტია, ვიდრე დანარჩენ საქართველოში. აფხაზეთის ჯანდაცვის სისტემა ვერ უმკვლავდება პანდემიას. ამიტომ დაინფიცირებულთა ნაწილი ენგურს აქეთ გადმოდის ან გადმოჰყავთ სამკურნალოდ, რის შესახებაც ზუსტი მონაცემები ბ-ნ რუდიკ ცატავას გააჩნია. დახმარების მიზნით, ამა წლის 17 აგვისტოს სოხუმში ჩამოვიდა რუსული მობილური საველე ჰოსპიტალი, სადაც ათობით დაინფიცირებული ადამიანი მკურნალობს. ასევე გამოცხადდა, რომ 17 აგვისტოს სოხუმში ჩამოვიდა შავი ზღვის ფლოტის რადიაციული, ქიმიური და ბიოლოგიური დაცვის ქვედანაყოფი, რომელმაც თითქოს სადეზინფექციო სამუშაოები უნდა ჩაატაროს. ალბათ, გახსოვთ, ასეთი ქვედანაყოფი შარშან 17 აპრილს ყირიმიდან ჩამოვიდა და მერე, ჩვენი მონაცემებით, ის არსად წასულა - სხვათაშორის, ჩამოვიდა ლუგარის ლაბორატორიასთან დაკავშირებით მაშინ მოსკოვში ატეხილი ცილისმწამებლური კამპანიის ფონზე. ეს ქვედანაყოფი საეჭვოდ რჩება გუდაუთის ბაზაზე, რაზეც ჩვენი მხრიდან მეტი ყურადღებაა მისაქცევი.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში კორონავირუსული პანდემია მძვინვარებს, არც ერთ სახელისუფლებო უწყებას, მათ შორის და განსაკურებით აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს, რომელსაც ისტორიული მისია აკისრია, არა აქვს და არც მიუცია საკუთარი თავისთვის თუნდაც ოდნავ მოდუნების, „ობიექტური“ მიზეზების მოშველიებით უმოქმედოდ ყოფნის უფლება. როგორც წინა სასესიო პერიოდებში, მუშაობა ამჯერადაც დისტანციურ ან ნაწილობრივ დისტანციურ რეჟიმში მიმდინარეობდა. რეგულარულად ტარდებოდა როგორც პრეზიდიუმის, ისე პლენარული სხდომები. პრეზიდიუმმა 22 სხდომა გამართა, ჩატარდა 15 პლენარული სხდომა, მათ შორის სამი იყო რიგგარეშე.

განვლილ სასესიო პერიოდში უმაღლესი საბჭო, როგორც საკანონმდებლო ორგანო, უპირატესად დაკავებული იყო სწორედ საკანონმდებლო საქმიანობით, რაც ჩვენი უპირველესი და უმთავრესი მოვალეობაა. მხედველობაში არ გვაქვს ცვლილებები, რომლებიც რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ აფხაზეთის კანონში, ასევე უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში იქნა შეტანილი. მსგავსი ცვლილებები პრაქტიკულად ყოველ სასესიო პერიოდში ხორციელდებოდა და მომავალშიც განხორციელდება. საკანონმდებლო საქმიანობის შესახებ როცა ვსაუბრობთ, პირველ რიგში, ვგულისხმობთ უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენილ ჩვენთვის უპრეცედენტო რაოდენობის კანონპროექტებს. ამჟამად პარლამენტში რვა საკანონმდებლო ინიციატივა გვაქვს წარდგენილი - ბევრად მეტი, ვიდრე დევნილი სახელისუფლებო სტრუქტურების არსებობის მთელს მანძილზე. რვა კანონპროექტიდან შვიდი - საგაზაფხულო სასესიო პერიოდში მომზადდა. არ შემიძლია სიამოვნებით არ აღვნიშნო უმაღლესი საბჭოსა და მთავრობის ნაყოფიერი თანამშრომლობა საკანონმდებლო სფეროში. იმ შვიდი კანონპროექტიდან ექვსის ავტორი სწორედ აფხაზეთის მთავრობა გახლავთ, რაც მისასალმებელია. მთავრობის მიერ მომზადებული კანონპროექტების დახვეწა და პარლამენტში წარსადგენად მომზადება უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის დამსახურებაა ბატონ ვახტანგ ყოლბაიას ხელმძღვანელობით. კარგად იმუშავეს კომიტეტის აპარატისა და თავმჯდომარის კაბინეტის იურისტებმა გიორგი გვასალიამ, თამაზ სანიკიძემ, ზურაბ ჯგუბურიამ (უმცროსმა) და სხვებმა. მადლობა მათ გაწეული შრომისთვის.

პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტებიდან განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ მოქალაქეობის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონებში ცვლილებების პროექტებს, რომელთა მომზადება ბატონების ნოდარ თოფურიძის, ირაკლი დბარის, გიორგი გვასალიას და თამაზ სანიკიძის დამსახურებაა. პროფესიული განათლების შესახებ კანონპროექტში ცვლილება კი მთავრობაში მომზადდა. მიუხედავად გარკვეული დაბრკოლებებისა და კითხვებისა განსაკუთრებით მოქალაქეობის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების პროექტის მიმართ, იმედი გვაქვს, რვავე კანონპროექტი მიღებული იქნება საქართველოს პარლამენტის მიერ. ამ მიზნით ვატარებთ კონსულტაციებს საქართველოს მთავრობის შესაბამის სტრუქტურებთან. ეს კონსულტაციები გაგრძელდება. რაც შეეხება პროფესიული განათლების შესახებ კანონში ცვლილების პროექტს, პარლამენტმა პირველი წაკითხვით ის უკვე მიიღო.

მიმდინარე სასესიო პერიოდში ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იქნება პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტების დამტკიცებისთვის ხელშეწყობა, ახალი კანონპროექტების მომზადება. ახალი კანონპროექტები კი, როგორც წესი, ცხოვრების, პრაქტიკის კარნახით მიიღება. სწორედ ცხოვრება და პრაქტიკა გვკარნახობენ აფხაზეთის მოქმედ კონსტიტუციაში გარკვეული ცვლილების შეტანის მიზანშეწონილობას. სასურველია, კონსტიტუციაში დაბრუნდეს მუხლი, რომელიც ითვალისწინებდა მთავრობის შემადგენლობის 50%-ზე მეტით განახლების შემთხვევაში მის ხელახლა დამტკიცებას. პრაქტიკა ადასტურებს, რომ მთავრობის ნაკლები კონტროლი მეტ პრობლემებს წარმოშობს იმავე მთავრობაში და, პირიქით, მეტი კონტროლი წარმომადგენლობითი ორგანოს მხრიდან ეხმარება და იცავს მთავრობას უნებლიე გადაცდომებისაგან. ვთხოვთ ადამიანის უფლებათა დაცვის, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტს, რომლის მოსაზრებები აღნიშნულ საკითხზე ჩემთვის ცნობილია, განიხილოს წინადადება კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის მიზანშეწონილობის შესახებ და მოამზადოს შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივა.

უმაღლესი საბჭო დიდი ხანია საქართველოს მთავრობის წინაშე აყენებს საკითხს საჯარო რეესტრში დევნილთა საკუთრების რეგისტრაციის შესახებ. აღნიშნულის თაობაზე ამა წლის 5 ივლისს ჩვენ კიდევ ერთხელ მივმართეთ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას - ამჯერად პრემიერ-მინისტრს, პარლამენტის თავმჯდომარეს და იუსტიციის მინისტრს. საქმის კურსში ჩავაყენეთ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო და სხვა უწყებები. ბატონ ვახტანგ ყოლბაიასთან და ირაკლი დბართან ერთად უკვე გვქონდა კონსულტაციები იუსტიციის სამინისტროში; ოთხი დღის წინ, სამ სექტემბერს, ძალიან საინტერესო წერილი მივიღეთ ბ-ნ ბესარიონ სიმონიშვილის უწყებიდან. ადამიანის უფლებათა დაცვის, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა თავმჯდომარის კაბინეტთან ერთად უნდა გააგრძელოს მუშაობა ამ მიმართულებით.

როგორც მიმდინარე სასესიო პერიოდში, ისე მომავალშიც კომიტეტი გადატვირთული იქნება საკანონმდებლო საქმიანობით, ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩენილი უძრავი ქონების რეგისტრაციასთან დაკავშირებული პრობლემებით; ალბათ, მოგვიწევს სერიოზული მუშაობა უმაღლესი საბჭოს ლეგიტიმურობის ხარისხის შენარჩუნების კუთხით და სხვა საკითხებზე. შესაბამისად, კომიტეტს სულ უფრო და უფრო ნაკლები დრო და შესაძლებლობა ექნება მუშაობისთვის ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით. ვიცოდით რა ამის შესახებ, უმაღლეს საბჭოში შემოსული განცხადებების მნიშვნელოვან ნაწილს, რომლებიც ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროს მიეკუთვნება, ვუგზავნიდით არა პროფილურ კომიტეტს, არამედ საქმეში არანაკლებ ღრმად

ჩახედულ სხვა პირებს და სტრუქტურებს. ჩვენი აზრით, სასურველია ადამიანის უფლებათა დაცვის უაღრესად მნიშვნელოვანი მიმართულება გამოეყოს ადამიანის უფლებათა დაცვის, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტს და შეუერთდეს კონფლიქტის დარეგულირებასთან დაკავშირებულ საკითხთა ახლადშექმნილ კომიტეტს. ეს კი მოითხოვს ცვლილებას უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში. ველოდებით შესაბამის საკანონმდებლო ინიციატივას.

უმაღლესი საბჭოს სხვა კომიტეტებიც საკმაოდ გამართულად მუშაობენ. საერთაშორისო კავშირების, განათლებისა და კულტურის კომიტეტს ბ-ნ ნუგზარ მგალობლიშვილის ხელმძღვანელობით ახალ სასესიო პერიოდში მოუწევს განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება ოკუპირებულ ტერიტორიაზე განათლების სფეროში არსებულ კატასტროფულ მდგომარეობაზე. უმაღლესი საბჭოს წევრებისთვის ცნობილია, რა დიდი სამუშაოა ჩატარებული ამ კუთხით როგორც კომიტეტის, ისე ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობასთან ურთიერთობის სამსახურის მხრიდან ქ-ნ ნანა კვარაცხელიას ხელმძღვანელობით - ვგულისხმობ დისტანციური სწავლების საპილოტე პროექტს. ცნობილია ასევე ამ პრობლემასთან დაკავშირებით უმაღლეს საბჭოში მაღალი სტუმრების მონაწილეობით ჩატარებული ღონისძიების თაობაზე, საქართველოს პარლამენტში ბ-ნ გიორგი ვოლსკის თავმჯდომარეობით გამართული მუშა შეხვედრის შესახებაც. ახლო მომავალში ველოდებით საქართველოს პარლამენტში აღნიშნული საკითხის უკვე საგნობრივ განხილვას, რის შემდეგაც დისტანციური სწავლების ის საპილოტე პროექტი, რომელიც უმაღლეს საბჭოში იშვა, სავარაუდოდ გახდება სახელმწიფო პროგრამის ნაწილი. სხვა გზა ოკუპირებულ ტერიტორიებზე ვითარების რამდენადმე მაინც გამოსწორებისა ამ ეტაპზე, სამწუხაროდ, არ არსებობს.

ბატონი ნუგზარი, როგორც ერისკაცი და საქვეყნოდ აღიარებული ხელოვანი, დიდ ყურადღებას აქცევს კულტურის სფეროს და ეს მხოლოდ მისასალმებელია. ამასთან დაკავშირებით მინდა გთხოვოთ თქვენ, ბატონო ნუგზარ, თქვენს მოადგილეს ბატონ ზურაბ ჯგუბურიას, რომლის ღვაწლი აფხაზეთის უნიკალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და საერთაშორისო მასშტაბით მისი პოპულარიზაციის საქმეში კარგად არის ცნობილი, რათა კომიტეტმა მეტი ყურადღება გაამახვილოს ბოლო პერიოდში ე. წ. შავი არქეოლოგების გააქტიურებაზე ოკუპირებულ აფხაზეთში. მხედველობაში მაქვს მიმდინარე წლის ივლის -აგვისტოში ქალაქ ოჩამჩირეში და ოჩამჩირის რაიონის სოფელ მერკულაში მოსკოველ „შავ არქეოლოგთა“ მიერ ჩატარებული გათხრები, რა თქმა უნდა, სათანადო ნებართვის გარეშე. ეს გათხრები მეტ-ნაკლები ინტენსიურობით უკვე 20 წელიწადია გრძელდება. წელს აღმოჩენილია უაღრესად საინტერესო არქეოლოგიური მასალა, მათ შორის მეხუთე-მეექვსე საუკუნეების სარკოფაგი.

ოჩამჩირეში გათხრებს ხელმძღვანელობს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ცნობილი ანტიქართველი ალექსანდრე სკაკოვი; მერკულაში, სადაც, სხვათა შორის, შუა საუკუნეებში დადიანების ერთ-ერთი რეზიდენცია მდებარეობდა, გათხრებს აწარმოებს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელი გალინა ტრებელოვა. ჩვენ დანამდვილებით არ ვიცით რა ბედი ელის აღმოჩენილ ნივთებს, მაგრამ დანამდვილებით ვიცით, რომ ეს ნივთები გამოყენებული იქნება და უკვე გამოიყენება აფხაზეთის, საქართველოს ისტორიის ფალსიფიკაციისთვის. აფხაზეთის ისტორიაში ზერელედ ჩახედულმა პიროვნებებმაც კი შესანიშნავად უწყიან, რომ XVII საუკუნის ბოლომდე კელასურის კედლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მათ შორის ოჩამჩირეში და მერკულაში მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ. ზემოაღნიშნული „შავი არქეოლოგები“ კი თავიანთ დასკვნებში ამ ელემენტარულ ჭეშმარიტებას არ ითვალისწინებენ. თქვენდამი თხოვნა კი მდგომარეობს შემდეგში: გაიარეთ კონსულტაციები ჯერ აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროში, შემდეგ საქართველოს კულტურის სამინისტროში, ასევე საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტში, რა თქმა უნდა ჩვენს იურისტებთანაც იმის თაობაზე, შესაძლებელია თუ არა იმ „შავი არქეოლოგების“ წინააღმდეგ სისიხლის სამართლის საქმის აღძვრა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 259[1]-ე და 259[4]-ე მუხლების შესაბამისად. ეს მუხლები არქეოლოგიური გათხრების უნებართვოდ წარმოებისთვის და მოპოვებული ნივთების ასევე უნებართვოდ საქართველოდან გატანისთვის პასუხისმგებლობას ეხება. საჭიროების შემთხვევაში, მზად ვარ თქვენთან ერთად მონაწილეობა მივიღო კონსულტაციებში.

ფუნქციებით დატვირთული და გადატვირთულიც არის სოციალურ-ეკონომიკურ საკითხთა, ჯანმრთელობის დაცვისა და დევნილთა საქმეების კომიტეტი, რომელსაც ბატონი რუდიკ ცატავა ხელმძღვანელობს. ისევე როგორც წინა სასესიო პერიოდში, ამჯერადაც ბ-ნ რუდიკი ყოველდღიურად, შაბათ-კვირის, სხვა დასვენების დღეებისა და შვებულების ჩათვლით, არის დაკავებული ენგურს გაღმა - გამოღმა მცხოვრები ჩვენი თანამოქალაქეების - აფხაზებისა და ქართველების - ჯანმრთელობაზე ზრუნვით, დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური საკითხების მოგვარებით. მას საქმიანი ურთიერთობა აქვს შესაბამის სამინისტროებთან, რომელთა მეშვეობით ახერხებს პრობლემების ოპერატიულად მოგვარებას. საერთოდ უნდა ითქვას, რომ სოციალურ-ეკონომიკურ საკითხთა, ჯანდაცვისა და დევნილთა საქმეების კომიტეტის ურთიერთობა შესაბამის სამინისტროებთან არის მაგალითი, ნიმუში ურთიერთობისა საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის. მადლობა ბატონ რუდიკს და მთავრობის ყველა იმ წევრს,

ვისაც გულთან ახლოს მიაქვს დევნილთა პრობლემები და ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში მაქსიმალურად ეხმარება მათ. ამასთან მაქვს თხოვნა ბატონ რუდიკთან და კომიტეტის სხვა წევრებთან - ჩვენს კოლეგებთან. როგორც თქვენთვის ცნობილია, უმაღლეს საბჭოში მოდის ძალიან ბევრი ადამიანი, რომელიც უჩივის ფულად დახმარებაზე შეტანილი განცხადებების განხილვის პროცედურების უსასრულოდ გაჭიანურებას. მოგეხსენებათ, არც ერთი საჩივარი, სამართლიანია ის თუ უსამართლო, უყურადღებოდ არ უნდა რჩებოდეს და არც დარჩება. გთხოვთ შეისწავლოთ ფულად დახმარებაზე მთავრობაში შეტანილი განცხადებების განხილვის გაჭიანურების მიზეზები და, აუცილებლობის შემთხვევაში, მთავრობას მივცეთ ამ ფუნქციის რეგიონული წარმომადგენლობებისთვის დაბრუნების რეკომენდაცია. აქვე მინდა ვთხოვო ბატონ ვახტანგ ყოლბაიას ჩაერთოს ამ საკითხის შესწავლა-დარეგულირებაში.

თქვენთან, ბატონო რუდიკ, და თქვენს კომიტეტთან გვაქვს კიდევ ერთი თხოვნა, რომლის აქტუალიზაცია გამოიწვია აფხაზეთის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროში ამასწინათ გამოვლენილმა სავარაუდო დანაშაულმა, რომელსაც პროკურატურა იძიებს. ჩვენი თხოვნაა პირადად თქვენ, კომიტეტის სხვა წევრებმა მკაცრი ზედამხედველობა გაუწიოთ დევნილთა დასაქმებასთან, მცირე ბიზნესის განვითარებასთან დაკავშირებული სამთავრობო პროექტების რეალიზაციის მიმდინარეობას, ამ მიზნით გამოყოფილი სახსრების ხარჯვის გამჭვირვალობას და ეფექტიანობას, ადგილებზე ნახოთ მიღწეული შედეგები, აწყობილი ბიზნესები თუ დასაქმებული ადამიანები.

დიდ იმედებს ვამყარებთ აფხაზეთში კონფლიქტის დარეგულირებასთან დაკავშირებულ საკითხთა ახლადშექმნილ კომიტეტზე, რომელსაც ქ-ნი ადა მარშანია ხელმძღვანელობს. ამ ეტაპზე უაღრესად მნიშვნელოვანია ქ-ნ ადას, როგორც კომიტეტის თავმჯდომარის, ასევე შერიგებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში მინისტრის აპარატთან არსებული საკონსულტაციო საბჭოს წევრის, აქტიური მონაწილეობა პროგრამული სამთავრობო დოკუმენტების შემუშავებაში. უმაღლესი საბჭოს სახელით, ჩვენ ერთობლივად წარვადგინეთ კონკრეტული წინადადებები, რომლებიც, ვფიქრობთ, გათვალისწინებული იქნება „გალისა და ახალგორის რაიონების სოციალურ - ეკონომიკური განვითარების კონცეფციაში“, ასევე დოკუმენტში „სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ ჩართულობა თანამშრომლობის გზით“, რომლის ახალი ვერსია მუშავდება. გარდა ამისა, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ამა წლის 26 ივნისს წამოყენებული ინიციტივის თანახმად, წლის ბოლომდე მოხდება „დეოკუპაციის და კონფლიქტის მოგვარების სახელმწიფო სტრატეგიის“ შემუშავება; ძალაშია 2018 წლის 4 აპრილს დამტკიცებული სამშვიდობო პროგრამა „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“; ცხადია,

უნდა ვიხელმძღვანელოთ ასევე საქართველოს პარლამენტის 2021 წლის 2 აგვისტოს რეზოლუციითაც „დეოკუპაციისა და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების შესახებ“. ერთი სიტყვით, პროგრამებისა და სახელმძღვანელო დოკუმენტების ნაკლებობა არ გვექნება, არც ახლა გვაქვს, მაგრამ, მიზეზთა გამო, ყოველთვის ვერ ხერხდება მათი ცხოვრებაში გატარება, რაც მოითხოვს დამატებით ძალისხმევას როგორც სახელმწიფოს, ისე ჩვენი მხრიდან. სწორედ აქ ვხედავთ ახალი კომიტეტის ძირითად ფუნქციას - ეს არის ხელშეწყობა დეოკუპაციასთან, შერიგებასა და ნდობის აღდგენასთან დაკავშირებული სამთავრობო პროექტების განხორციელებაში.

მოგეხსენებათ, შერიგება და ნდობის აღდგენა არ გახლავთ რაღაც აბსტრაქტული ცნება - ეს არის ურთიერთობები აფხაზეთიდან ჩამოსულ კონკრეტულ ადამიანებთან მათთვის საჭირბოროტო კონკრეტულ საკითხებზე, ზოგჯერ სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემებზე. შეგვიძლია უამრავი მაგალითი მოვიტანოთ, როდესაც ჩვენი კოლეგების ბ-ნების რუდიკ ცატავას, ვახტანგ ყოლბაიას და სხვათა დახმარებით სიკვდილს გადარჩენილი ჩვენი აფხაზი თანამოქალაქეები უსაზღვროდ მადლიერები არიან; არ შემიძლია არ გავიხსენო ბ-ნ ნუგზარ მგალობლიშვილთან დაკავშირებული ერთი ფაქტი, რომელიც ორი თუ სამი წლის წინ მოხდა. მისი ზეადამიანური ძალისხმევით სიკვდილს გადაურჩა აფხაზი ბავშვი, რომელსაც პირადად დაეხმარა ურთულესი ოპერაციის ჯერ თბილისში და მერე საზღვარგარეთ გაკეთებაში. გავიდა წლები და დღემდე ბატონი ნუგზარი იღებს მადლობებს ბავშვის მშობლებისაგან. ასე ნაბიჯ-ნაბიჯ შენდება მშვიდობა, ხდება ნდობის აღდგენა. ასეთი გახლავთ სახელმწიფო პოლიტიკა, რომლის განხორციელებაში ხელშეწყობა ჩვენი ერთ-ერთი მთავარი მოვალეობაა.

სამწუხაროდ, ზოგჯერ ვაწყდებით ისეთ სიტუაციას, როდესაც ჩვენივე ხელით წყალში ვყრით სახელმწიფოს მიერ გაკეთებულ სიკეთეს, გაწეულ სოლიდურ ხარჯებს. მოვიტან ასეთ მაგალითს. ათიოდე დღის წინ თბილისის ერთ-ერთ ცნობილ კლინიკაში ჩვილი აფხაზი ბავშვი გარდაიცვალა, თუმცა სახელმწიფომაც და ექიმებმაც ყველაფერი გააკეთეს მის გადასარჩენად. ბატონმა რუდიკმა იცის და თვითონაც იღებდა ამაში მონაწილეობას. კლინიკა რამდენიმე დღის განმავლობაში უარს ეუბნებოდა მშობლებს გარდაცვლილი ბავშვის ცხედრის გადაცემაზე, სანამ გადახდილი არ იქნებოდა რეფერალური პროგრამით გათვალისწინებული თანხის ზევით გაწეული ხარჯები, თუ არ ვცდები, 9 ათასი ლარი. ყოველივე ამის შემდეგ ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს ბავშვის მშობლებისა და მრავარიცხოვანი ნათესავების მდგომარეობა, მათი განწყობა და დამოკიდებულება ჩვენს მიმართ. ანუ რა ხდება - სახელმწიფო იხარჯება, ექიმები შრომობენ, მაგრამ გაუთვალისწინებელი ბიუროკრატიული თუ ხელოვნური ბარიერების გამო, ეს

ყოველივე წყალში იყრება და ნდობის აღდგენის ნაცვლად სრულიად საპირისპირო შედეგს ვიღებთ. მართალია, ქ-ნ მინისტრის - თეა ახვლედიანის, აფხაზეთის ჯანდაცვის მინისტრის ბ-ნ ლევან ჩაკვეტაძის და სხვათა ჩარევით პრობლემა მოგვარდა, მაგრამ რა გარანტია გვაქვს, რომ ის არ განმეორდება.

შემიძლია კიდევ ერთი ფაქტი უკვე სხვა სფეროდან მოვიტანო. სოხუმიდან ჩამოვიდა ერთი აფხაზი ახალგაზრდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში სწავლის გაგრძელების მიზნით. უცნობ ქალაქში და გარემოში მოხვედრილი ქართული ენის არმცოდნე ახალგაზრდა კაცი ვერ აგვარებდა თითქოს მარტივ, მაგრამ მისთვის გადაულახავ, ბიუროკრატიული ბარიერებით გამოწვეულ პრობლემებს, რომლებიც ჩვენი სტრუქტურების კომპეტენციაში არ შედიოდა. რომ არა ბატონი ნუგზარ მგალობლიშვილი, რომელმაც შემთხვევით გაიგო ამის შესახებ, დიდი იმედებით თბილისში ჩამოსულ აფხაზ ბიჭუნას უკვე იმედგაცრუებულს და შესაბამისი პოლიტიკური განწყობით მოუწევდა უკან დაბრუნება. ახლა მას გარანტირებული აქვს სამხატვრო აკადემიაში ჩარიცხვა.

ასეთი, რბილად რომ ვთქვათ, არასასიამოვნო ფაქტები არის ერთეული, მაგრამ ისეთი შემთხვევები, რომლებიც აზიანებენ სახელმწიფოს სამშვიდობო პოლიტიკას.

ახალი კომიტეტის და მთლიანად უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთი ამოცანა უნდა იყოს მსგავსი ფაქტების პრევენცია. უკვე ითქვა და გავიმეორებთ, რომ კომიტეტში უნდა გადმოვიდეს ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულება, რათა თქვენ, ქ-ნო ადა, ასევე დაკავდეთ დევნილებისა და ენგურს გაღმა მცხოვრები ჩვენი თანამოქალაქეების შელახული უფლებების დაცვასთან დაკავშირებული პრობლემებით, რაც პირდაპირ კავშირშია დეოკუპაციის, ნდობის აღდგენისა და შერიგების პოლიტიკასთან. სათანადო ცვლილებების განხორციელება უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში, ვფიქრობთ, სექტემბრის ბოლომდე მოესწრება.

კომიტეტის მუშაობის ეფექტიანობა დიდად იქნება დამოკიდებული თანამშრომლობაზე არასამთავრობო ორგანიზაციებთან. როგორც მრავალი მოწვევის პარლამენტის წევრს, ქ-ნ ადას არ გაუჭირდება ურთიერთობა აგრეთვე პარლამენტთან, კერძოდ, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებით კომისიასთან, რომლის მეშვეობით უნდა მოვახერხოთ გადაუდებელი და აქტუალური საკითხების მაღალ დონეზე, ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა თანდასწრებით განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება.

განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს, მის ხელმძღვანელს პროფესორ მურმან კვარაცხელიას.

მაღალი დონის პროფესიონალებისაგან შემდგარი კომიტეტი და კომიტეტის ასეთივე აპარატი შესანიშნავად ართმევენ თავს მათზე დაკისრებულ მოვალეობას, რაც კარგად ჩანს სხვადასხვა საკითხზე მომზადებული დასკვნებიდან თუ რეკომენდაციებიდან. კომიტეტი მჭიდროდ თანამშრომლობს ფრაქციებთან სხვა კომიტეტებთანაც, განსაკუთრებით სოციალურ-ეკონომიკურ საკითხთა, ჯანმრთელობის დაცვისა და დევნილთა საქმეების კომიტეტთან. ამ ორი კომიტეტის საქმიანი თანამშრომლობა უაღრესად კარგ შედეგს იძლევა და, ცხადია, ის გაგრძელდება. ამავე დროს, ვერ ვიტყვი, რომ არსებობს სრულფასოვანი თანამშრომლობა საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტსა და შესაბამის სამთავრობო დაწესებულებას - აფხაზეთის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროს შორის. ამის მიზეზებზე დღეს არ ვისაუბრებთ, მაგრამ იმედს გამოვთქვამთ, რომ ახალი მინისტრის პირობებში, რომელთანაც უკვე გვქონდა გაცნობითი და ამასთანავე საქმიანი შეხვედრა, ეს საკითხი მოგვარდება. პრობლემების თავიდან აცილების მიზნით, კომიტეტმა და სამინისტრომ უნდა ითანამშრომლონ არა მხოლოდ ბიუჯეტის პროექტის განხილვის, თანაც არც თუ ისე იშვიათად დაჩქარებული წესით, არამედ მისი ფორმირების, ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესში. მოგეხსენებათ, ბიუჯეტი, მასში წლის განმავლობაში შეტანილი ცვლილებების ჩათვლით, ეს არის ციფრებში, ფინანსებში გამოხატული სახელმწიფო პოლიტიკა. ამ პოლიტიკის ეფექტიანად ცხოვრებაში გატარება შესაძლებელია მხოლოდ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ერთობლივი ძალისხმევით. სწორედ ამიტომ არის აუცილებელი კომიტეტისა და სამინისტროს მუდმივი თანამშრომლობა ბიუჯეტის ფორმირების, დამტკიცების და, გარკვეულ შემთხვევებში, ხარჯვის პროცესშიც კი.

სახელმწიფო პოლიტიკის გატარების თვალსაზრისით, აფხაზეთის რესპუბლიკურ ბიუჯეტთან არსებითი შენიშვნები ვერ გვექნება. ჩვენ არაერთხელ დავუჭირეთ და, როგორი მტკივნეულიც არ უნდა იყოს, მომავალშიც უნდა დავუჭიროთ მხარი ადმინისტრაციული ხარჯების თანდათანობით შემცირებისა და პროგრამული დაფინანსების ზრდის პოლიტიკას; ჩვენ ასევე არაერთხელ დაგვიჭერია და მომავალშიც უნდა დავუჭიროთ მხარი როგორც საბიუჯეტო, ისე გრანტების სახით მოზიდული სახსრებით დევნილთა დასაქმების, მცირე და საშუალო ბიზნესის წახალისების პოლიტიკას. ასეთია სახელმწიფო პოლიტიკაც, რომლის ბევრად უფრო დიდ მასშტაბებში განსახორციელებლად საბიუჯეტო სახსრები გამოეყოფა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ასევე ბუნებრივი რესურსებისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს. სხვათა შორის, თუ ავტონომიაზეა საუბარი, ცნობისთვის მოგახსენებთ, რომ აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტრო აფინანსებს ფირმებსა და ინდმეწარმეებს, რომლებსაც მოჰყავთ მოცვი, მისდევენ მეფუტკრეობას, მეღვინეობას და სხვა

დარგებს. ყოველივე ამით იმის თქმა მსურს, რომ სწორი იყო აფხაზეთის მთავრობა, როდესაც მან შეიმუშავა დევნილთა დასაქმებისა და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამები, სწორი ვიყავით ჩვენც, როდესაც აღნიშნულ პროგრამებს მწვანე შუქი ავუნთეთ.

ამ დროს აფხაზეთის დევნილი სახელისუფლებო სტრუქტურების არსებობის მანძილზე, ალბათ, პირველად ხდება გაუგონარი რამ! საღ აზრზე მყოფი ნორმალური ადამიანი ვერც იფიქრებდა, რომ ჩვენს სტრუქტურებში აღმოჩნდებოდნენ ისეთი ადამიანები თუ არაადამიანები, რომლებსაც ხელი წაუცდებოდათ რესპუბლიკურ ბიუჯეტზე, განსაკუთრებით კი წლების განმავლობაში უმუშევრობით, ყოფითი თუ სხვა პრობლემებით ისედაც გაწამებულ, და სიდუხჭირეში მყოფ დევნილთა დასაქმებისთვის გათვალისწინებულ თანხებზე!?!? ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროს, ნებსით თუ უნებლიედ (ამას მიმდინარე გამოძიება დაადგენს), შეცდომაში შეჰყავდა უმაღლესი საბჭო, როდესაც მისი ხელმძღვანელები რიხიანად გვესაუბრებოდნენ ხობის რაიონის ორ სოფელში - ზემო ქვალონსა და ხამისქურში მოცვისა და დაფნის პლანტაციების გაშენების, იქ დევნილების დასაქმების თაობაზე, რაც მომავალში ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი წყაროც გახდებოდა. სამწუხაროდ, ეს ყოველივე აღმოჩნდა სიყალბე - არანაირი პლანტაციები ხობის რაიონში თურმე არ გაშენებულა, გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრები კი გახარჯულია თუ უკანონოდ მითვისებულია.

გასაგები მიზეზების გამო, წინასწარ ვერავის ვერაფეში ვერ დავადანაშაულებთ, მათ შორის დაპატიმრებულ პიროვნებას; ჩვენ არ გვაქვს უფლება დავარღვიოთ უდანაშაულობის პრეზუმფცია, დაველოდებით გამოძიების შედეგებს და სასამართლოს ვერდიქტს. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება საუბარი დანაშაულზე და დამნაშავეებზე. ასეთები თუ გამოვლინდებიან, ისინი პასუხს აგებენ კანონის წინაშე.

ამასთანავე, მოგეხსენებათ, პატივცემულო კოლეგებო, რომ არსებობს პოლიტიკური პასუხისმგებლობაც, რომელსაც ვერანაირად ვერ გავექცევით. მომხდარზე პოლიტიკური პასუხისმგებლობა ეკისრება როგორც მთავრობის ხელმძღვანელობას, ისე უმაღლესი საბჭოს სპიკერატს. ძალიან ზოგადად თუ ვიტყვით, ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროში ჩადენილი სავარაუდო დანაშაულის ორი მთავარი მიზეზი შეიძლება გამოვყოთ - ხარვეზები საკადრო პოლიტიკაში და არასათანადო კონტროლი. მხედველობაში გვაქვს კონტროლი მთავრობის, განსაკუთრებით სამინისტროს მხრიდან, რომლის ერთ-ერთ სტრუქტურულ ერთეულს შიდა აუდიტის დეპარტამენტი წარმოადგენს. საინტერესოა, რა გააკეთა აღნიშნულმა დეპარტამენტმა სავარაუდო დანაშაულის

აღსაკვეთად? შედეგებიდან გამომდინარე, ალბათ, არაფერი. ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, მას არ ჩაუტარებია „სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ოპერაციული აუდიტი, შესაბამისობისა და ეფექტიანობის აუდიტი.

უმაღლეს საბჭოს, მის სპიკერატს, როგორც ითქვა, აქვს თავისი წილი პასუხისმგებლობისა, რომელიც ბიუჯეტის განკარგვაზე, ხარჯვაზე არასათანადო კონტროლის დაწესებაში გამოიხატება. ამავე დროს კარგად გვახსოვს პლენარულ სხდომებზე, სადაც ბიუჯეტის მიღების საკითხი იხილებოდა, ბატონ თამაზ ხუბუას კრიტიკული გამოსვლები; გვახსოვს ბატონების მურმან კვარაცხელიას და რუდიკ ცატავას მიერ ბიზნესპროექტებთან, განსაკუთრებით მოცვის პროგრამის განხორციელებასთან და მის შედეგებთან დაკავშირებით დასმული მწვავე შეკითხვები სამინისტროს ხელმძღვანელების მიმართ და პასუხიც, რომ შედეგების დადებას მეტი დრო სჭირდება; გვახსოვს ბ-ნ ვახტანგ ყოლბაიას სკეპტიკური დამოკიდებულება სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ამ და სხვა პროექტების მიმართ, რის გამოც ბატონი ვახტანგი ხმას არ აძლევდა ბიუჯეტს. სამწუხაროდ, ეს ყოველივე საკმარისი არ აღმოჩნდა სავარაუდო დანაშაულის თავიდან ასაცილებლად. როგორც ირკვევა, ამისათვის საჭირო ყოფილა ჩვენი უფლებამოსილი წარმომადგენლების ერთხელ მაინც ჩასვლა ადგილზე და იქ ვითარებაში გარკვევა, რაც არ გაგვიკეთებია - არ გაგვიკეთებია იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, ეს არ იყო ჩვენი პირდაპირი ფუნქცია და მოვალეობა, თუმცა არც არავინ გვიკრძალავდა ხობის რაიონში ჩასვლას; ჩვენ უფრო მოცვის კრეფაში მონაწილეობის მისაღებად ვემზადებოდით. მეორეც, ვერავინ წარმოიდგენდა იმას, რისი მოწმენი გავხდით.

მომხდარიდან სათანადო დასკვნების გამოტანაა საჭირო. მოკლედ გავიმეორებთ თხოვნას ბ-ნ რუდიკ ცატავას მიმართ, რომელიც საბიუჯეტო კუთხით ბ-ნ მურმან კვარაცხელიასაც ეხება - ეს არის ზედამხედველობა დევნილთა დასაქმებასთან, მცირე ბიზნესის განვითარებასთან დაკავშირებული სამთავრობო პროექტების რეალიზაციის მიმდინარეობაზე; ამ მიზნით გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის გამჭვირვალობაზე და ეფექტიანობაზე.

მინდა მადლობა მოვახსენო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დეპარტამენტს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, რომელმაც გამოავლინა სავარაუდო დანაშაული, მაგრამ ბევრად უკეთესი იქნებოდა, მომხდარიყო დანაშაულის პრევენცია. ვფიქრობთ, აუცილებელია „სახელმწიფო აუდიტის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული ეფექტიანობის აუდიტის ჩატარება, რომელიც გულისხმობს განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების ეკონომიურობის, პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის შემოწმებას.

ჩვენ გვეგონა, რომ საკმაოდ კარგად ვახორციელებდით უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას - აფხაზეთის მთავრობის საქმიანობისადმი კონტროლს, ზედამხედველობას. უმაღლესმა საბჭომ და კომიტეტებმა, კანონმდებლობის შესაბამისად, თითქოს ყველაფერი გააკეთეს ამ კუთხით, მაგრამ ამ საკითხზე საუბარი, გასაგები მიზეზების გამო, დამაჯერებელი ვერ იქნება, ამიტომ თავს შევიკავებთ. უმჯობესია, პირველ რიგში, ვიფიქროთ კონტროლის მექანიზმების სრულყოფაზე და არა გაწეულ მუშაობაზე, რომლის დაკნინება სრულებითაც არ გვსურს. ამ ეტაპზე მუშაობა გაგრძელდება არსებული გეგმისა და მთავრობის წევრთა ანგარიშების მოსმენის უკვე დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად, თუმცა ეს გრაფიკი შეიძლება გადაიხედოს. ამასთან დაკავშირებით ვთხოვ ბატონ თამაზ ხუბუას ერთი კვირის ფარგლებში წარმოადგინოს კონკრეტული წინადადებები.

უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთი მთავარი მისია იყო და არის ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ვითარებაზე, იქ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე მუდმივი დაკვირვება, მათი შესწავლა, ანალიზი და ცალკეულ მოვლენებზე ადექვატური რეაგირება. აფხაზეთში დღეს არსებულ პოლიტიკურ ვითარებაზე ზემოქმედებენ ისეთი ფაქტორები, როგორიცაა მცოცავი ანექსიის რუსული პოლიტიკის გააქტიურება, ხელოვნურად შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, რომელიც მცოცავი ანექსიის პოლიტიკის შემადგენილი ნაწილია; ვითარებას კიდევ უფრო ართულებს გამწვავებული ეპიდემიოლოგიური სიტუაცია, რომლის შესახებაც მოკლედ უკვე ვისაუბრეთ.

საგაზაფხულო სასესიო პერიოდის გახსნისას ჩვენ ვრცლად შევეხეთ მცოცავი ანექსიის რუსულ პოლიტიკას, რომლის გააქტიურება უკავშირდება 2020 წლის 12 ნოემბერს მოსკოვსა და სოხუმს შორის ხელმოწერილ 45 პუნქტისაგან შემდგარ ე. წ. პროგრამას კანონმდებლობის ჰარმონიზაციის გზით რუსეთსა და აფხაზეთს შორის საერთო სოციალური და ეკონომიკური სივრცის ფორმირების შესახებ. უმაღლესმა საბჭომ, მისმა პრეზიდიუმმა, კომიტეტებმა არაერთხელ განიხილეს აღნიშნული საკითხი. ჩვენი სურვილი და მოვალეობაცაა თვალყური მივადევნოთ აღნიშნული „პროგრამის“ რეალიზების მიმდინარეობას, რათა დროული და ადექვატური რეაგირება მოვახდინოთ აფხაზეთის ანექსიისკენ გადადგმულ ყოველ დანაშაულებრივ ნაბიჯზე. ამ მიზნით „პროგრამის“ ორმოცდახუთივე პუნქტი გადანაწილებული აქვთ შესაბამის კომიტეტებს, რომლებიც ვალდებული არიან ყურადრებით დააკვირდნენ პროცესების განვითარებას. მიმდინარე, 2021 წლის ბოლომდე, „პროგრამის“ 15 პუნქტი უნდა შესრულდეს. მინდა შეგახსენოთ, რომ აქედან 13 პუნქტთან დაკავშირებით შესაბამისი დასკვნები უნდა მოამზადონ საფინანსო - საბიუჯეტო და სოციალურ - ეკონომიკურ საკითხთა, ჯანმრთელობის დაცვისა და დევნილთა საქმეების კომიტეტებმა. ორ პუნქტზე პასუხისმგებელია

ადამიანის უფლებათა დაცვის, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი. ვთხოვ კომიტეტის თავმჯდომარეებს 2022 წლის დასაწყისში წარმოადგინონ თავიანთი დასკვნები თხუთმეტივე პუნქტთან დაკავშირებით.

აფხაზური საზოგადოება რუსეთის ანექსიონისტური პოლიტიკის წინააღმდეგია და სხვადასხვა ფორმით წინააღმდეგობას უწევს იმ ე. წ. პროგრამის განხორციელებას. ეს საკითხი გახლავთ საზოგადოებაში დაპირისპირების ერთ-ერთი აქტუალური თემა. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, დღეისათვის - 7 სექტემბრისთვის - არც ერთი პუნქტი შესრულებული არ არის, თუმცა ბატონმა ბჟანიამ სოხუმში ვიზიტად მყოფ ოკუპანტი სახელმწიფოს ოფიციალურ წარმომადგენლებს ამა წლის 3 სექტემბერს განუცხადა, რომ თითქოს მიმდინარეობს აქტიური მუშაობა კანონმდებლობის ჰარმონიზაციის გზით რუსეთსა და აფხაზეთს შორის საერთო სოციალური და ეკონომიკური სივრცის ფორმირების მიზნით. უფრო მეტიც, აფხაზური მხარის წახალისების, ამ საკითხზე საზოგადოებაში არსებული წინააღმდეგობის შერბილების თუ საერთოდ მოხსნის მიზნით, ოფიციალური მოსკოვი და სოხუმი ხელმოსაწერად ამზადებენ ახალ დოკუმენტს - აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამას, რომელიც 2022 – 2025 წლებზეა გათვლილი.

ამ ორი „პროგრამის“ შესრულება ერთმანეთზე იქნება მიბმული - აფხაზთა დაშოშმინებას და 2020 წლის 12 ნოემბერს ხელმოწერილი „პროგრამის“ შესრულებას სოხუმი იმ შემთხვევაში მოახერხებს ან შეეცდება, თუ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სამწლიანი „პროგრამა“ გაფორმდება და მისი რეალიზაცია დაიწყება; ასევე, პირიქით, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სამწლიან „პროგრამას“, მისი გაფორმების შემთხვევაში, რუსეთი იმდენად შეასრულებს, რამდენადაც იქნება რეალიზებული 2020 წლის 12 ნოემბერს ხელმოწერილი, არსებითად, აფხაზეთის ანექსიის პროგრამა. სხვათა შორის, რუსეთს დღემდე არ შეუსრულებია 2021 წლის ვალდებულება აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის განკუთვნილი დახმარების გადმორიცხვის შესახებ. როგორც ჩანს, ესეც აფხაზთა მხრიდან 45 პუნქტიანი „პროგრამის“ შესრულებაზე იქნება დამოკიდებული. წინასწარ უნდა ვიცოდეთ, რომ რუსეთის დედერაციის ნებისმიერი „პროგრამა“ აფხაზეთში მხოლოდ ანექსიონისტურ მიზნებს მოემსახურება. კონკრეტულად სოციალურ-ეკონომიკური განვითარების „პროგრამა“ ისეთნაირად ჩამოყალიბდება და შესრულდება, რომ აფხაზეთის ეკონომიკამ ვერ შეძლოს დამოუკიდებლად ფუნქციონირება და მთლიანად მიებას რუსეთის ეკონომიკას. სწორედ ეს იქნება ის ყბადაღებული „საერთო სოციალური და ეკონომიკური სივრცე“, რომელშიც აფხაზებისთვის ადგილი არ დარჩება.

ასეთი გახლავთ ზოგადი ვითარება აფხაზეთში, რაც იწვევს პოლიტიკურ დაძაბულობას, ოპოზიციის გააქტიურებას, რომელიც დაჟინებით მოითხოვს დე-ფაქტო მთავრობის თავმჯდომარის გადადგომას და ოქტომბრისთვის საპროტესტო აქციებით იმუქრება. ეჭვსგარეშეა, აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებისა და ე. წ. ოპოზიციის როგორც აქტიურობა, ისე პასიურობაც მოსკოვიდან იმართება და ოკუპანტი სახელმწიფოს ანექსიონისტური პოლიტიკის განხორციელების მიზანს ემსახურება.

ადრეც და ამჟამადაც ჩვენი პასუხი აფხაზეთში მიმდინარე პროცესებზე იყო და უნდა დარჩეს აქტიური სამშვიდობო პოლიტიკა. მისი ძირითადი არსი კი, როგორც მოგეხსენებათ, მდგომარეობს შერიგებაში, ნდობის აღდგენასა და დეოკუპაციაში. დღეს აფხაზეთში ნამდვილად ახალი რეალობაა შექმნილი, ახალი გამოწვევებითა და ახალი პრობლემებით, რომელიც მოითხოვს ახალ მიდგომებს სამშვიდობო პოლიტიკის განხორციელებაში, ასევე საერთაშორისო არენაზე. ეს მიდგომები უნდა აისახოს ზემოხსენებულ პროგრამულ სამთავრობო დოკუმენტებში, რომლებიც შემუშავების სტადიაშია. მხედველობაში გვაქვს „გალისა და ახალგორის რაიონების სოციალურ - ეკონომიკური განვითარების კონცეფცია“, ახალი ვერსია „სახელმწიფო სტრატეგიისა ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ ჩართულობა თანამშრომლობის გზით“, „დეოკუპაციისა და კონფლიქტის მოგვარების სახელმწიფო სტრატეგია“. აღნიშნული დოკუმენტები უნდა გახდეს იმ ყბადაღებული 45 პუნქტიანი „პროგრამის“ საპირწონე. ამ შემთხვევაში ისინი მოიპოვებენ აფხაზური საზოგადოების დიდი ნაწილის მხარდაჭერასაც.

საერთაშორისო არენაზე კი, პირველ რიგში, უნდა მივაღწიოთ იმ რეზოლუციების გამკაცრებას, რომელსაც წელიწადში ორჯერ ღებულობს ევროსაბჭო სახელწოდებით „ევროპის საბჭო და კონფლიქტი საქართველოში“; რომელსაც ყოველწლიურად ღებულობს გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო სახელწოდებით „თანამშრომლობა საქართველოსთან“. მათში უფრო მკაფიოდ უნდა აისახოს ადამიანის უფლებების დარღვევის არნახული მასშტაბები, უსასტიკესი ფორმები და მეთოდები, ოკუპანტთა არადამიანური მიზნები; სანამ მოვახერხებთ საკუთრების უფლების დარღვევის შესახებ კონკრეტული ფაქტების სტრასბურგის სასამართლოში გასაჩივრებას, ზემოაღნიშნულ რეზოლუციებში შეფასება უნდა მიეცეს ოკუპანტის მიერ დევნილთა საკუთრების უფლების სრული იგნორირების, უფრო მეტიც, ამ საკუთრების ხელში ჩაგდების ღია მცდელობას. პირდაპირ უნდა ითქვას სიმართლე, რომ რუსეთი შეუდგა აფხაზეთიდან დევნილების საკუთრების მითვისებას, რომ ამ საკუთრებას საფრთხე ემუქრება და ა. შ. როგორ უნდა აღუდგეთ წინ ამ საფრთხეს, რა ზომებია მისაღები? ერთ-ერთი ქმედითი ზომა იქნებოდა სამთავრობო გადაწყვეტილების ან კანონის მიღება ამ ქონების

რეგისტრაციის შესახებ, რაც მოგვცემს ოკუპანტებისაგან ჩვენი ქონების დაცვის მეტ შესაძლებლობას. საერთაშორისო ორგანიზაციების რეზოლუციებში ჯერ არ ასახულა აფხაზეთში კულტურული მემკვიდრეობის დაცვასთან დაკავშირებული პრობლემები, რაზეც მისახედი გვაქვს.

უმაღლესი საბჭო ცდილობს მუდმივი კონტაქტი ჰქონდეს დევნილ მოსახლეობასთან, რასაც ხელს უწყობს პროექტები, რომლებსაც ვახორციელებთ - ეს არის „სოციალური სოლიდარობისათვის“, „დისტანციური სწავლება“, „ცხელი ხაზი“ და ა. შ. როგორც წესი, მოგვმართავენ ადამიანები, რომლებსაც ძალიან უჭირთ და ითხოვენ სხვადასხვა სახის დახმარებას პროდუქტების მიწოდებით დაწყებული და ბინების მიღებაში ხელშეწყობის თხოვნით დამთავრებული. განვლილი სასესიო პერიოდის განმავლობაში მარტო „ცხელი ხაზის“ მეშვეობით 490 ასეთი განცხადებაა შემოსული. გარდა ამისა, განცხადებები და მომართვები შემოდის სპიკერატის, პრეზიდიუმის წევრებისა და სხვა ჩვენი კოლეგების სახელზე. არც ერთი განცხადება თუ მომართვა რეაგირების გარეშე არ რჩება, მათ შორის ისეთ საკითხებზე, რომლებიც ჩვენს კომპეტენციაში არ შემოდის. მაგალითად, ძალიან ბევრმა დევნილმა უკვე იცის, რომ საცხოვრებელი ფართის მიღებაში მას უეჭველად დაეხმარება აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში მიღებული რჩევები და რეკომენდაციები. ეს არის იურიდიული და საქმისწარმოების დეპარტამენტის უფროსის ქ-ნ ნინო ხუნჯუას დამსახურება. უმაღლესი საბჭოს კომიტეტები, აპარატი, დეპარტამენტები დევნილთა განცხადებებში დასმულ მთელ რიგ საკითხებს აფხაზეთის მთავრობის შესაბამისი დაწესებულებების მეშვეობით, მათთან თანამშრომლობით საკმაოდ ოპერარიულად აგვარებენ, რისთვისაც სამთავრობო დაწესებულებები მადლობას იმსახურებენ.

აფხაზეთთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებზე ფართო საზოგადოების, მათ შორის დევნილების ინფორმირების მიზნით ვაგრძელებთ თანამშრომლობას საინფორმაციო სააგენტო „თაიმერთან“ (ბერდია კალანდია), მედიაცენტრ „მთავართან“ (ეკა გულუა), მედიაჰოლდინგ „კვირის“ პრესკლუბთან (თამარ შეყილაძე) და, რა თქმა უნდა, აფხაზეთის ა/რ რესპუბლიკის საინფორმაციო-ანალიტიკურ ცენტრთან (იგორ კოპალიანი). მათთან თანამშრომლობის მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მარტო „თაიმერის“ მეშვეობით გავრცელებულ ჩვენს ინფორმაციებს - ინტერვიუებს, ბრიფინგებს, განცხადებებს და ა. შ. ამა წლის იანვრიდან დღემდე გაეცნო 2.2 მლნ ადამიანი. მთლიანობაში, კიდევ სხვა სააგენტოებს თუ გავითვალისწინებთ, ეს ციფრი ორჯერ და სამჯერ მეტი იქნება.

საზოგადოებასთან კომუნიკაციას ვახორციელებთ აგრეთვე ჩვენი ვებ-გვერდის SCARA-ს მეშვეობით, რომელიც ბევრად უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი

გახდა. ამ მიზნით ასევე ვიყენებთ, თუმცა არასაკმარისად, სოციალურ ქსელებსაც. მთლიანობაში ასეულ ათასობით ადამიანი ეცნობა და იწონებს ჩვენს საქმიანობას. საინფორმაციო პოლიტიკის წარმართვისთვის კვლავაც მადლობას იმსახურებენ ქ-ნი დალი ჯონჯუა, ბ-ნები დავით ჟვანია, ხვიჩა ქარდავა. მინდა ასევე მადლობა მოვახსენო ბ-ნ თენგიზ პაჭკორიას, რომლის ძალისხმევით ინფორმაციები უმაღლესი საბჭოს მნიშვნელოვანი პოლიტიკური აქტივობების - ბრიფინგების, განცხადებების, სხვა ღონისძიებების შესახებ მაშინათვე მიეწოდება მთელ რიგ უწყებებს, დიპლომატიურ კორპუსს ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ.

პანდემიის პირობებში საზოგადოებასთან კომუნიკაციის ერთ-ერთი გავრცელებული და საუკეთესო ფორმაა არასამთავრობო ორგანიზაციების, უნივერსიტეტების და სხვათა მიერ ორგანიზებულ ონლაინკონფერენციებში მონაწილეობა. საგაზაფხულო სასესიო პერიოდში ჩვენმა კოლეგებმა ბატონებმა თამაზ ხუბუამ, ვახტანგ ყოლბაიამ, მურმან კვარაცხელიამ და სხვებმა თხუთმეტამდე ასეთ კონფერენციაში მიიღეს მონაწილეობა. ცხადია, მიმდინარე სასესიო პერიოდშიც მუშაობის ეს ფორმა აუცილებლად იქნება გამოყენებული.

იმისათვის, რომ საინფორმაციო პოლიტიკა უფრო ქმედითი გახდეს, აუცილებელია მასალების ინგლისურ, რუსულ და, საჭიროების შემთხვევაში, სხვა ენებზეც გავრცელება. მოგეხსენებათ, ჩვენ ორიენტირებული ვართ აფხაზეთზე, აფხაზურ მოსახლეობაზე, რომლის საკომუნიკაციო ენა არის რუსული. ქართულენოვან ინფორმაციას გალის რაიონს იქით მხოლოდ ერთეულები ეცნობიან. ამიტომ მინდა ვთხოვო ბატონებს დავით ჟვანიას და ხვიჩა ქარდავას წარმოადგინონ სათანადო წინადადებები, რათა შეიქმნას პირველ ეტაპზე თუნდაც რუსულენოვანი ინფორმაციის გავრცელების შესაძლებლობა.

მაქვს თხოვნა ბატონ თამაზ ხუბუასთან და ზურაბ მებონიასთან - მიიღონ ზომები რადიოგადაცემის აღსადგენად, რომელიც კორონავირუსული პანდემიის გამო შეჩერდა. სამწუხაროდ, იმავე მიზეზით, მოგვიწია უმაღლესი საბჭოს კიდევ არაერთი პროექტის დროებით შეჩერებაც. რადგანაც, პანდემიის გარდა, სხვა დამაბრკოლებელი მიზეზი არ არსებობს, დარწმუნებული ვარ, უბედურება, რომელსაც კორონავირუსი ჰქვია, დასრულდება და ჩვენს შეჩერებულ პროექტებზეც მუშაობა განახლდება.

სამუშაო პირობებიც სულ მალე შესაფერისი გვექნება. დღეს დეპუტატები და თანამშრომლები გარკვეულ დისკომფორტს განიცდიან, რისთვისაც ბოდიშს გიხდით, მაგრამ სულ რამდენიმე კვირაა საჭირო იმისათვის, რომ სამუშაო პირობების თვალსაზრისით მდგომარეობა რადიკალურად გაუმჯობესდეს. ყოველივე ამისათვის არ შემიძლია თქვენი სახელით მადლობა არ მოვახსენო ბ-ნებს რუსლან აბაშიძეს, ანზორ მარგიანს და ლევან ჩაკვეტაძეს.

დასასრულს მინდა კოლეგებს, აპარატის თანამშრომლებს ვუსურვო ჯანმრთელობა და კიდევ ერთხელ ჯანმრთელობა, რომლის შენარჩუნება მარტო პირადი საქმე არ გახლავთ.

მადლობა ყურადღებისთვის.

2021 წლის 7 სექტემბერი.